18/07/2025

MES 5 25 0000886984

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 9 ივლისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი/ საბჭოს წევრი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;

ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ვალერი ჯაჯანიძე
მაია ხურცილავა
ქეთევან ღვანიძე
ალინა კუპრავა
ლელა მაისურაძე
ლევან მადათოვი
მაია გრიგალაშვილი
ტიტე ბოლქვაძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯი კავკასიონი
დირექტორი - რაინდი ლომაია
სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნათია მაწკეპლაძე

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ივანე ჯაგოდნიშვილი;

სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - ზაზა ბუაჩიძე;
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - ხათუნა მხეიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული განათლების პროგრამების განყოფილების უფროსი - თამარ აფციაური;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული განათლების პროგრამების განყოფილების სპეციალისტი - ნინო ჩორხაული;
სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსი - ეკატერინე ნარეშელაშვილი;
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი - ბორის გითოლენდია;
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ნია ნათბილაძე;
„საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ნათია ბუთხუზი;
"გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - თეა ბარამაშვილი;
„ტყავის ნაკეთობათა წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ლელა გერგეშელიძე;
„მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ლია ლურსმანაშვილი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონში "ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონში "სკოლამდელი აღზრდის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ტყავის ნაკეთობათა წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.
ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, კერძოდ, დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგით მესამე საკითხი განხილულიყო მე-6 საკითხად.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა აღნიშნული მიიღეს მხედველობაში.

განახლებული დღის წესრიგი:
1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონში "ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონში "სკოლამდელი აღზრდის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ტყავის ნაკეთობათა წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონში "ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვალერი ჯაჯანიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 მაისის N 527633 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე - თავმჯდომარე, მაია ხურცილავა - წევრი, დაევალა ქ. თბილისში, შპს საზოგადოებრივ კოლეჯის ,,კავკასიონი“ მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, ბ.ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს საზოგადოებრივ კოლეჯის ,,კავკასიონი“, მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2025 წლის 02 ივნისს განახორციელა ვიზიტი, ქ. თბილისში, მისამართზე, ბაქრაძის ქ. N6, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და ქვოტის გაზრდის მიზანშეწონილობის საკითხი. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, ბ.ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მიმართებაში შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“

ექსპერტის განცხადებით,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ კოლეჯი კავკასიონი ახორციელებს (ქ. თბილისის მისამართზე) ჯამური ქვოტით 40 პროფესიული სტუდენტი და შესაბამისად დაწესებულების საკუთრებაშია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სასწავლო გარემო. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ოდენობის ქვოტის გაზრდის

სურვილიდან გამომდინარე კოლეჯმა უზრუნველყო სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით საჭირო სასწავლო გარემოს შექმნა და აღჭურვა ინვენტარით. კერძოდ, მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის - 80 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში, გათვალისწინებით დაწესებულების საკუთრებაშია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ განკუთვნილი A, B, C სასწავლო გარემო შესაბამისი აღჭურვილობით, რომელიც განკუთვნილია, როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. კოლეჯი აღნიშნულ ფართზე სწავლებას განახორციელებს ორ ცვლაში, თითო ჯგუფი დაკომპლექტდება თეორიულ კომპონენტზე 40 პროფესიული სტუდენტით, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას განახორციელებს 20-20 კაციან ჯგუფში. ვიზიტის ფარგლებში მოხდა აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს/ების დათვალიერება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო (თეორიული აუდიტორია) 40 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობით და სამი აუდიტორია განკუთვნილი B გარემოსთვის, თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისთვის და თითო კომპიუტერი მასწავლებლისთვის. 2 კომპიუტერული კლასი (B გარემო) განკუთვნილია მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის და გამოიყენება როგორც B, ასევე C გარემოსთვის პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. აღნიშნული აუდიტორია აღჭურვილია პროექტორით, დაფით, მასწავლებლის სამუშაო მაგიდა და სკამით, კომპიუტერებში დაინსტალირებულია საბუღალტრო სასწავლო პროგრამა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. აღნიშნული პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს, ასევე, კიდევ ერთი აუდიტორია, აღჭურვილი მერხებით, სკამებით, დაფით. პრაქტიკული კომპონენტი ტარდება კოლეჯის ტერიტორიაზე, ვინაიდან პროგრამის განხორციელებაში ჩართული ლექტორები თავად არიან მოქმედი ბუღალტრები და ეწევიან პრაქტიკულ ბუღალტრულ საქმიანობას. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, რამდენი სტუდენტი ჰყავდათ სტატუსშეჩერებული „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამაზე.

დარგის ექსპერტის განმარტებით, სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა 21-ს შეადგენს. ექსპერტის თქმით, აღნიშნული სტუდენტების პირადი განცხადებით იყო განპირობებული. შესაბამისად, სტატუსის შეჩერება არ უკავშირდებოდა აკადემიურ ან ადმინისტრაციულ პრობლემებს და განხორციელდა სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, რამდენად არის საკმარისი პროგრამის მოცულობის გაორმაგების პირობებში, მხოლოდ ორი დამატებითი პროფესიული მოდულის მასწავლებლის ჩართვა და შესაძლებელი იქნება თუ არა სწავლების პროცესის სრულფასოვანი და ხარისხიანი განხორციელება.

დარგის ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის ფარგლებში განხილული იყო როგორც განმახორციელებელი პერსონალის, ასევე დაწესებულების ხელმძღვანელობის პოზიცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, თითოეულ საგანმანათლებლო მოდულზე მინიმუმ

ორი განმახორციელებელი მასწავლებელია გაწერილი და თითოეული მათგანის დატვირთვა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიუხედავად, დატვირთვა ასეა განაწილებული, რომ არც ერთ მოდულზე არ წარმოიშვება დატვირთვის გადაჭარბების რისკი. პირიქით, მიმდინარე მდგომარეობით ბევრ მასწავლებელს სრულად არ აქვს ათვისებული კანონით დადგენილი მაქსიმუმი და დამატებით ორი მასწავლებლის ჩართვა სრულად აკმაყოფილებს საჭიროებას. გარდა ამისა, დარგის ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ განმახორციელებელ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი არის პრაქტიკოსი ბუღალტერი, რაც დადებითად აისახება პროგრამის ხარისხზე და სტუდენტთა დასაქმების პოტენციალზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ არსებული მასწავლებლების დატვირთვა საშუალოდ შედარებით დაბალი იყო და დამატებითი მასწავლებლების ჩართვის შემდეგაც, მათ დატვირთვა 30 საათს არ აღემატება, რაც სრულად ჯდება კანონით დადგენილ ფარგლებში და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის გამართულ და ხარისხიან განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონში "ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონს(ს/კ:412683813) დანართით განსაზღვრულ "ბუღალტრული აღრიცხვის"პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 80-ით **(დანართი 1).**

მეორე საკითხი: შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონში "სკოლამდელი აღზრდის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვალერი ჯაჯანიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 მაისის N 527670 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე - თავმჯდომარე, ქეთევან ღვანიძე - წევრი, დაევალა ქ. ქუთაისში, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი აღზრდა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, ბ.ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონის მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2025 წლის 04 ივნისს განახორციელა ვიზიტი, ქ. ქუთაისში, მისამართზე ოცხელის ქ. №2, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, როგორც დაწესებულების შესაბამის სასწავლო გარემოში, ასევე პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებთან. შეფასდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზანშეწონილობის საკითხი. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი აღზრდა“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, ბ. ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მიმართებაში შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სკოლამდელი აღზრდა“

დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი სასწავლო A და B გარემო. კოლეჯის საკუთრებაში აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად არსებული ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით არის ერთი A გარემო, #15 აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 40 პროფესიულ სტუდენტზე. კვოტის გაზრდის მოთხოვნის დაფიქსირების შემდეგ კოლეჯმა დამატებით გამოყო კიდევ ერთი A გარემო #14 აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით 24 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, დაწესებულებას, ჯამში მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 62/64 პროფესიულ სტუდენტზე, თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია: 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი, 1 კომბაინი, 1 მონიტორი და ერთი - პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). კვოტის გაზრდის პირობით, აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 124 პროფესიული სტუდენტს, ორი მიღებისა და ცვლის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან (23.02.2023 #7). აღნიშნული მემორანდუმი გულისხმობს მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობას და მიზნად ისახავს სკოლამდელი განათლების მხარდაჭერას, კერძოდ, მემორანდუმის ფარგლებში კოლეჯს საშუალება ეძლევა უზრუნველყოს გაერთიანებაში შემავალ ბაღებში უსასყიდლოდ მიავლინოს პროფესიული სტუდენტები, რომლებიც შეძლებენ ბაგა–ბაღის სასწავლო–სააღმზრდელო პროცესებში ჩართვას და უშუალოდ სამუშაო პროცესში მონაწილეობას, რაც, ერთის მხრივ დაეხმარება მათ პროფესიული უნარების განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში და მეორეს მხრივ, ქ. ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანებას დამატებით შესძენს უფასო მუშახელს და კვალიფიციურ საშტატო რესურსს. კვოტის გაზრდამდე მემორანდუმში განსაზღვრული იყო კონკრეტული ბაგა–ბაღების ჩამონათვალი №12; №28; №19 და №21 ფილიალები (ბაგა–ბაღები), რომლებშიც კოლეჯის სტუდენტები შეძლებდნენ პრაქტიკის გავლას. კვოტის გაზრდის გადაწყვეტილების შემდეგ კოლეჯმა ქ. ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან გააფორმა შეთანხმება (24.04.2025 №7), რომლის თანახმადაც პრაქტიკის ობიექტად განისაზღვრა დამატებით სამი საბავშვო ბაგა–ბაღი №18, №27, №36 დაწესებულებები, მხარეების მიერ გაფორმებული შეთანხმების თანახმად თითოეული დაწესებულება ვალდებულებას იღებს დამატებით, მომსახურება გაუწიოს კოლეჯის 56 პროფესიულ სტუდენტს. ავტორიზაციის ექსპერტებმა ადგილზე დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტი და გაესაუბრნენ წარმომადგენლებს. მათ დაადასტურეს სრული მზაობა და ჩართულობა, ასევე ვალდებულება, რომ პრაქტიკის ობიექტზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. განხორციელდა შეხვედრა სტუდენტებთან და პედაგოგებთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროცესში მათ არა აქვთ რაიმე შეფერხება მატერიალურ რესურსთან მიმართებაში და ყველანაირი მასალებით უზრუნველყოფილი არიან როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტზე. პარტნიორი დაწესებულება დაკომპლექტებულია 12 აღსაზრდელთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფით, რაც შესაძლებელს ხდის თითოეულ ჯგუფზე მინიმუმ 4 პროფესიული სტუდენტის მიმაგრების

შემთხვევაში, საშუალო დატვირთვის გამოყენებით, თითოეულ ბაღში განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტის მინიმუმ 24 პროფესიული სტუდენტის სწავლება, ხოლო მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (124 სტუდენტი), 7 ბაღის გამოყენების შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევას აბსოლუტურად რეალურს ხდის. პროფესიულ სტუდენტებს მონაცვლეობით ანაწილებენ ბავშვთა ჯგუფებში, მათი ასაკობრივი თავისებურებების შესწავლის მიზნით. აქტიური სტატუსის მქონე პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ საშუალება აქვთ დამოუკიდებლად მოამზადონ სხვადასხვა აქტივობა, აწარმოონ ბავშვთა დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები, შეიმუშაონ დღის განრიგი და მოამზადონ პრეზენტაციები თუ პროექტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რამ განაპირობა კვოტის გაზრდის სურვილი დაწესებულების მხრიდან.

დარგის ექსპერტის განმარტებით, წარმოდგენილი იყო 2023–2024 სასწავლო წლის მიღების მონაცემები, რომლის ანალიზიც ნაწილობრივ უნივერსიტეტის მიერ წარმოებული შიდა კვლევის ფარგლებში განხორციელდა. ექსპერტის თქმით, რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა სასწავლო წლის დასაწყისში დაგეგმილ ადგილებს – სამიდან ოთხჯერ მეტ მსურველზე იყო საუბარი. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, პროგრამაზე გამოცხადებული იყო 40 სტუდენტისთვის განკუთვნილი ადგილი, თუმცა რეგისტრაციის შედეგად მიღებულ იქნა 42 პროფესიული სტუდენტი. ანალოგიური გადაჭარბება დაფიქსირდა თბილისის ლოკაციაზეც, სადაც ერთ მიღებაზე დამატებით 22 პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა. აღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა სამი ძირითადი წყაროს საფუძველზე: დაწესებულების შიდა რეგისტრაციის ანალიზი, შრომის ბაზრის ზოგადი კვლევა, დასაქმების ვებ-პლატფორმებიდან მიღებული მონაცემები, რაც რეალურ მოთხოვნაზე მიანიშნებდა. გამოცდილების ანალიზისა და მოთხოვნის ტენდენციების საფუძველზე, კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონში "სკოლამდელი აღზრდის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდისსაკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე

დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონს(ს/კ:412683813) დანართით განსაზღვრულ "სკოლამდელი აღზრდის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 124-ით **(დანართი 2).**

მესამე საკითხი:სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დაიხ**

საბჭოს წევრს, ნათია ბუთხუზს, ჰქონდა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც ნათია ბუთხუზმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, საბჭოს მდივნად განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 8 მაისის №503567 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 11 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (ქ. თბილისი, კოსტავას №68) „მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დათვალიერებულ იქნა პრაქტიკის ობიექტი - შპს უნისტილი (ს/ნ 200204108, ქ. თბილისი, ერწოს ქ. №8) ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა A და C გარემოში, ისე, როგორც ამას მოითხოვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. კერძოდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის (ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 68) ბაზაზე და პრაქტიკის ობიექტის (შპს უნისტილი) მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნული სასწავლო გარემოები განკუთვნილია როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობებისთვის 15-15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის. ორ ცვლაში სულ 30 პროფესიული სტუდენტი. საგანმანათლებლო პროგრამით - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ - განსაზღვრული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 10 დარგის წარმომადგენელი; დაწესებულებას თითოეულ მოდულზე განსაზღვრული აქვს მინიმუმ 2 და მეტი განმახორციელებელი. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „მოდის ტექნოლოგიის და დიზაინი“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ბეჭდური და ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ცენტრალურ, ასევე სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის სამკითხველოში. სახელმძღვანელოები დამუშავებულია სათანადო წესით, მოდულებში მითითებულია მათი საბიბლიოთეკო კეტერები. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 15 პროფესიულ სტუდენტზე სამკერვალო საწარმოსთან შპს ,,უნისტილი“. საწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია დაწესებულებამ იზრუნოს პრაქტიკის ობიექტების დამატებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, გააჩნდა თუ არა დაწესებულებას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური პერსონალი და დროითი რესურსი იმის უზრუნველსაყოფად, რომ 15 სტუდენტისათვის პრაქტიკის ეტაპობრივად ან ერთდროულად ჩატარება ხარისხიანად განხორციელდეს.

დარგის ექსპერტის განმარტებით, უნივერსიტეტში განთავსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლის მონახულება ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეძლო, სრულად შეესაბამება მოთხოვნებს და შესაძლებლობას იძლევა, რომ ორ ცვლაში მოემსახუროს 15-15 სტუდენტს. გარდა ამისა, ექსპერტის მიერ შემოწმებული იქნა პრაქტიკის ობიექტი, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. ექსპერტის თქმით, საწარმოს გარემო ადაპტირებულია პრაქტიკისათვის კომპონენტის გასავლელად.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს განუმარტა, რომ დასკვნის დოკუმენტში 2.4.1.5 ინდიკატორზე გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის მიხედვით მიზანშეწონილია, დაწესებულებამ იზრუნოს დამატებითი პრაქტიკის ობიექტების მოძიებასა და თანამშრომლობის გაფართოებაზე, ვინაიდან არსებული ერთ-ერთი ხელშეკრულება მხოლოდ 15 სტუდენტზეა გაფორმებული (სამკერვალო საწარმო „უნისტილი“) და ეს შესაძლოა არ იყოს საკმარისი გაზრდილი საჭიროებების ფონზე.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნისტილის საწარმო რეალურად ფარავს 15 სტუდენტის უნარების განვითარების საჭიროებებს, რეკომენდაცია გაცემული იქნა პრევენციული მიზნით. ექსპერტის თქმით, საწარმოო პროცესში შესაძლოა გამოიკვეთოს დროებითი შეფერხებები, მაგალითად, შეკვეთების არარსებობა ან საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა, რაც პირდაპირ აისახება სწავლების უწყვეტობაზე. გამომდინარე აქედან, რეკომენდაცია მიზნად ისახავს, რომ დაწესებულებას ჰქონდეს ალტერნატიული ობიექტების ქსელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და მოქნილობას. მისი თქმით, თბილისის მასშტაბით არსებობს მრავალი საწარმო, რომლებთანაც შესაძლებელია ხელშეკრულებების გაფორმება და ამ შესაძლებლობის გამოყენება სტრატეგიულად გამართლებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა,სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მოდის

ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 9 ივლისი.

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ტყავის ნაკეთობათა წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დაიხ**

საბჭოს წევრს, ნათია ბუთხუზს, ჰქონდა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც ნათია ბუთხუზმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, საბჭოს მდივნად განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 8 მაისის №503585 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 10 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (ქ. თბილისი კოსტავას №68) „ტყავის

ნაკეთობათა წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დათვალიერებულ იქნა პრაქტიკის ობიექტი შპს ვოგგ, ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა A და C გარემოში, ისე როგორც ამას მოითხოვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. კერძოდ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის (ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 68) ბაზაზე და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნული სასწავლო გარემოები განკუთვნილია როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობებისთვის 15-15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის. ორ ცვლაში სულ 30 პროფესიული სტუდენტი. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 30 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით; ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 30 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით, პროგრამისთვის განსაზღვრულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათი კვირეული დატვირთვა შესაბამისია კანონმდებლობასთან. პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას თითოეულ მოდულზე განსაზღვრული აქვს მინიმუმ 2 და მეტი განმახორციელებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ბეჭდური და ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ცენტრალურ, ასევე სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის სამკითხველოში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი(10 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ ფინანსურად მდგრადია, დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, მისი მთავარი შემოსავლების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულება შპს ვოგგ-თან და ი/მ ირაკლი გვილავასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ტყავის ნაკეთობათა წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ტყავის ნაკეთობათა წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4).** გადაწყვეტი ლების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 9 ივლისი.

მეხუთე საკითხი:სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დაიხ**

საბჭოს წევრს, ნათია ბუთხუზს, ჰქონდა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც ნათია ბუთხუზმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, საბჭოს მდივნად განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 14 მაისის №522078 ბრძანების საფუძველზე (ცვლილება №601793, 30.05.2025) 2025 წლის 9 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (ქ. თბილისი კოსტავას №68) „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დათვალიერებულ იქნა პრაქტიკის ობიექტები: შპს გორგიას საწყობი (ქ.თბილისი, წყალსადენის ქ.7), შპს ავტობანი (ქ. თბილისი, ფეიქრების ქ. 38), ასევე, ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
2.4.1.5 პრაქტიკის ხელშეკრულების დანართით ირკვევა, რომ პრაქტიკის ობიექტზე გატანილია 4 მოდულის სწავლის შედეგების გარკვეული საათები (სულ 6 სწავლის შედეგი). არც მოდულების დამხმარე ჩანაწერებში და არც პრაქტიკის ხელშეკრულების დანართში არაა მითითებული მოდულის რომელი სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. მიზანშეწონილია, ხელშეკრულების დანართებში, ან მოდულის დამხმარე ჩანაწერებში მიეთითოს მოდულის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საწყობის ოპერირება“
ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A/B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია №617). პრაქტიკის ხელშეკრულებით C ტიპის სასწავლო გარემოდ განსაზღვრულია შპს „ავტობანი“, შპს „მინიმარტს“, შპს„ გორგია“ და შპს „გაკო ტერმინალი“, რომელიც მიიღებს 15 პროფესიულ

სტუდენტს. დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით შეჭრილ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (15 პროფესიული სტუდენტი) თეორიული მომზადების ერთდროულად გატარება. პროფესიული პროგრამისათვის ,,საწყობის ოპერირება" დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 4 ორგანიზაციასთან: შპს ავტობანი, შპს გაკო ტერმინალი, შპს გორგია, შპს მინიმარტს. საგანმანათლებლო პროგრამით „საწყობის ოპერირება" განსაზღვრული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 17 დარგის წარმომადგენელი; დაწესებულებას თითოეულ მოდულზე განსაზღვრული აქვს მინიმუმ 2 და მეტი განმახორციელებელი პირი. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა დამატებითი კითხვით, შესაძლებელია თუ არა პრაქტიკის ხელშეკრულებაში სწავლის შედეგების არასრული ასახვის პირობებში გაიცეს განმავითრებელი რეკომენდაცია.

დარგის ექსპერტის განმარტებით, არსებული დოკუმენტაცია მოიცავს მოდულის დასახელებას და პრაქტიკის საათების რაოდენობას, რომელიც განსაზღვრულია პარტნიორ ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. თუმცა, დაკონკრეტებული არ არის სწავლის შედეგების ჩამონათვალი, რაც ხელს უშლის კონკრეტული შედეგების მიღწევის თვალთახედვიდან შეფასებას. ექსპერტის რეკომენდაცია იყო, რომ ხელშეკრულებებს დაემატოს ცალკე სვეტი ან განყოფილება, სადაც იქნება მითითებული კონკრეტულად რომელი სწავლის შედეგის მიღწევა იგეგმება პრაქტიკის პერიოდში. ეს, მისი განმარტებით, გაამარტივებს როგორც პროცესის მონიტორინგს, ისე შედეგების დასაბუთებულ შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ:

211349192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საწყობის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 5).** გადაწყვეტილ ების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 9 ივლისი.

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დაიხ**

საბჭოს წევრს, ნათია ბუთხუზს, ჰქონდა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც ნათია ბუთხუზმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, საბჭოს მდივნად განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ალინა კუპრავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 30/05/2025

წლის N 503576 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოების ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება. ვიზიტი განახორციელდა 2025 წლის 10 ივნისს; ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების თანახმად განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება-შეფასება, დოკუმენტაციების შესწავლა, შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ განხორციელების წარმატებული პრაქტიკა. პროგრამა „გრაფიკული დიზაინის შესრულება“— მიზნობრივად ამზადებს კონკურენტუნარიან პროფესიონალებს. სასწავლო პროცესში მიღებული შედეგები აღსანიშნავია როგორც პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა პროფესიული წინსვლით, ისე მათი შემოქმედებითი პროექტებით. 2020 წლის მიღების პროფესიულმა სტუდენტმა, რომელიც ჩარიცხვამდე არ ფლობდა გრაფიკულ პროგრამებთან მუშაობის უნარს, წარმატებით შეასრულა ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის 1000 წლისთავთან დაკავშირებული გამოცემის დიზაინისა და დაკაბადონების სამუშაოები. პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ხოლო სტუდენტმა მადლობის წერილი მიიღო საპატრიარქოს ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრისგან. 2022 წლის მიღების პროფესიული სტუდენტი დასაქმდა უნივერსიტეტის მარკეტინგისა და კომუნიკაციების ცენტრში დიზაინერ-ასისტენტად და ამავდროულად, მასთან გაფორმდა ხელშეკრულება „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული პროგრამის მოდულების განსახორციელებლად. აღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელება ეფექტიანია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწრაფ პროფესიულ განვითარებასა და შრომის ბაზარზე რეალურ ინტეგრაციას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გრაფიკული დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი" განხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსში (ქ. თბილისი 0160, მ. კოსტავას ქ. N68). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები განხორციელდება A, B და C გარემოში, რომელიც მოწყობილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით. მოწყობილია პროფესიული მოდულების განსახორციელებლად B გარემო 15 პროფესიული სტუდენტის კომპიუტერით, 1 პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპიუტერით, დემონსტრირების ციფრული საშუალებებით, ფერადი და შავ-თეთრი საბეჭდი მოწყობილობებით, პროფესიული სტუდენტების სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდით და სკამით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,გრაფიკული დიზაინი“ — ზოგადი და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის შესაბამისი ინვენტარით დაკომპლექტებულია A და C გარემო, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო მაგიდები, სკამები,

დაფა, სახატავი სადგამები (მოლბერტები), სამხატვრო სკამი (ტუმბო), სახატავი დაფები, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის მაგიდა და სკამი, კომპიუტერი, პროექტორი - დემონსტრირების ციფრული საშუალება. სასწავლო პროცესი სრულად განხორციელდება დაწესებულებაში, რეალურ სამუშაო ადგილთან მიახლოებულ იმიტირებულ გარემოში. ამიტომ პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არსებობს. პროფესიული სტუდენტები პროფესიას სწავლობენ ზუსტად ისე, როგორ დავალებასაც მიიღებენ დასაქმების ადგილზე. ამის შესაძლებლობას გარემოს გარდა, იძლევა მაღალი კომპეტენციის დარგის სპეციალისტების გამოცდილება და სწავლების პროცესის დაგეგმვის მიდგომები. აღნიშნული სასწავლო გარემოები განკუთვნილია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის 15-15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის. ორ ცვლაში სულ 30 პროფესიული სტუდენტი. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 30 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამით „გრაფიკული დიზაინი“ განსაზღვრული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია დარგის 10 წარმომადგენელი; დაწესებულებას თითოეულ მოდულზე განსაზღვრული აქვს მინიმუმ 2 და მეტი განმახორციელებელი. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული პროფესიონალური საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული

"გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 6).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 9 ივლისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ჩხარტიშვილი ხათუნა

ელექტრონულად შესრულებულია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	124
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ტყავის ნაკეთობათა წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	78
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	108

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	საწყობის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118